

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული
სისტემა საქრუსენერგო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
1 კომპანია და მისი საქმიანობა.....	10
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	11
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.....	11
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	27
6. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
7. ძირითადი საშუალებები	30
10. ფულადი სახსრები და ნაშთი ბანკში	34
11. სააქციო კაპიტალი	34
12. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.....	35
13. სხვა ხარჯები.....	36
14. სხვა შემოსავალი	36
15. ფინანსური ხარჯები.....	36
16. ფინანსური შემოსავალი.....	36
17. მოგების გადასახადები	37
18. პირობითი ვალდებულებები	37
19. ფინანსური რისკის მართვა	38
20. კაპიტალის მართვა	40
21. სამართლიანი ღირებულების წარდგენა	41



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა, სართული 5

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი , N4, (ნაკვ.66/4)

თბილისი, საქართველო 0105

ს/კ 404437695

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ "სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს" (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და არაკონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება, ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ შეიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

სხვა გარემოების ამსახველი პარაგრაფი

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე გაცემული იქნა არამოდიფიცირებული მოსაზრება სხვა აუდიტორული კომპანიის მიერ 2022 წლის 20 აპრილს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი კომპანია.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გაიცა, არის:

ვახტანგ კუჭერაძე



შპს "KPMG Georgia"



1 მაისი 2023 წელი

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის


(ათასი ლარი)	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	115,123	78,356
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	7	-	10,411
აქტივები გამოყენების უფლებით		552	566
სხვა გრძელვადიანი აქტივები		462	609
არამატერიალური აქტივები		265	376
სულ გრძელვადიანი აქტივები		116,402	90,318
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	2,996	3,712
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	4,107	5,874
მოკლევადიანი საგადასახადო აქტივები		2,485	523
ფულადი სახსრები და საბანკო ნაშთები	10	33,557	46,548
სულ მოკლევადიანი აქტივები		43,145	56,657
სულ აქტივები		159,547	146,975
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	11	230,000	230,000
დამატებით გადახდილი კაპიტალი		2,185	2,185
დაგროვილი დეფიციტი		(73,482)	(86,065)
სულ კაპიტალი		158,703	146,120
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		578	578
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		578	578
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		266	277
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		266	277
სულ ვალდებულებები		844	855
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		159,547	146,975

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-41 გვერდებზე

საქელი საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო
2022 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ათასი ლარი)	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	12	11,973	23,130
საიჯარო შემოსავალი მომხმარებელზე იჯარით გაცემული გადამცემი ხაზებიდან	12	19,384	10,146
სხვა შემოსავალი	14	1,004	802
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი		(12,944)	(11,889)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(4,360)	(4,422)
შეკეთების და ტექნიკური მომსახურების ხარჯები		(2,634)	(2,630)
სხვა ხარჯები	13	(4,080)	(4,002)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება		(630)	-
საოპერაციო მოგება		7,713	11,135
ფინანსური შემოსავალი	16	5,331	3,771
ფინანსური ხარჯები	15	(438)	(296)
მოგება, მოგების გადასახადით დაზღვევამდე		12,606	14,610
მოგების გადასახადის ხარჯი		(23)	(134)
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		12,583	14,476

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 1 მაისს და მისი სახელით ანგარიშგებას ხელს აწერენ:


 ბაჩანა-სულაძე
 გენერალური დირექტორი




 მამუკა-შენაღარიშვილი
 ფინანსური დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-41 გვერდებზე

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო
2022 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

'000 ლარი	სააქციო კაპიტალი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	230,000	2,185	(99,940)	132,245
მთლიანი სრული შემოსავალი				
წლის მოგება	-	-	14,475	14,475
მთლიანი სრული მოგება წლის განმავლობაში	-	-	14,475	14,475
შენატანები და განაწილებები				
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	(600)	(600)
სულ შენატანები და განაწილებები	-	-	(600)	(600)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	230,000	2,185	(86,065)	146,120
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	230,000	2,185	(86,065)	146,120
მთლიანი სრული შემოსავალი				
წლის მოგება	-	-	12,583	12,583
მთლიანი სრული მოგება წლის განმავლობაში	-	-	12,583	12,583
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	230,000	2,185	(73,482)	158,703

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-41 გვერდებზე

(ათასი ლარი)	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		38,044	38,043
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები და გადახდილი გადასახადები		(8,903)	(8,558)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(12,810)	(12,433)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(134)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		16,331	16,918
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(35,602)	(19,508)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები		951	286
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		5,331	3,771
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(29,320)	(15,451)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კომპანიის აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები		-	(600)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(2)	(111)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2)	(711)
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		-	(34)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	46,548	45,826
წმინდა (კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(12,991)	756
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	33,557	46,548

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-41 გვერდებზე

1 კომპანია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო“-სთვის (შემდგომში „კომპანია“).

კომპანია წარმოადგენს ქართულ დახურულ სააქციო საზოგადოებას, როგორც ეს განსაზღვრულია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ შესაბამისად. კომპანია დაარსდა, როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმო 1995 წლის მარტში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანების და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 22 აგვისტოს №504 ბრძანების შესაბამისად. კომპანიის მარეგისტრირებული ორგანო საბურთალოს რაიონის სასამართლოა და მისი სარეგისტრაციო ნომერია 211324468.

კომპანიის მესაკუთრეები არიან საქართველოს სახელმწიფო (50%), რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ და რუსეთის ფედერაცია (50%), რომელიც წარმოდგენილია სს „ერთიანი ენერგო სისტემის ფედერალურ ქსელურ კომპანიის“ (FGC UES PJSC) მიერ.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-6 შენიშვნაში.

ძირითადი საქმიანობა კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროგადამცემი ხაზების იჯარით გაცემა და ამ ელექტროგადამცემი ხაზების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება. 2021 წლის 1 ივლისიდან, კომპანია გამოიმუშავებს საიჯარო შემოსავალს მისი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების იჯარიდან და შემოსავალს სარემონტო და ტექნიკური მომსახურებიდან. ანაზღაურება იჯარით გაცემული აქტივებისთვის ფიქსირებულია ხუთი წლის ვადით და დამოკიდებულია საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის (სსე) დადგენილ ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფზე. ანაზღაურების ოდენობას, ისევე როგორც გადაცემის ტარიფს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია („სემეკი“).

2015 წელს, კომპანიასა და სს „ერთიანი ენერგეტიკული სისტემის ფედერალურ ქსელურ კომპანიას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მდებარე „კავკასიონის“ გადამცემი ხაზის იჯარისა და ტექნიკური მომსახურების შესახებ. იჯარის ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვრიდან. კომპანიის მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი გადამცემი ხაზის იჯარიდან მიღებულ შემოსავალს და ხაზის სარემონტო და ტექნიკური მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს წარმოადგენს.

2021 წლის 1 ივლისამდე, კომპანია ელექტროენერგიის გადაცემას ახორციელებდა საკუთარი მაღალი ძაბვის ხაზებით, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მეზობელ ქვეყნებში - რუსეთში, თურქეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. კომპანიის ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების ნაწილი მდებარეობს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზები საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სინქრონიზებული ელექტროენერგიის მიწოდების ქსელების ნაწილს წარმოადგენენ. კომპანია ფლობდა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ 23 თებერვალს გაცემული ელექტროენერგიის გადაცემის უვადო ლიცენზიას.

იურიდიული მისამართი და ბიზნესის წარმოების ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია მარკ ბრონშტაინის ქუჩა 1, თბილისი, 0178, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებსაც განვითარებადი ბაზრის თვისებები ახასიათებთ. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომლებიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე. საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდა აღნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს, ზემოთ აღწერილის შესაბამისად; მეორე მხრივ, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკის ერთიანი ზრდა არის პროგნოზირებული, რაც გამოწვეულია ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული უფრო მაღალი შემოსავლებით და ძლიერი კერძო მოხმარებით. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ აღნიშნულ მოვლენებს ექნებათ არსებითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“-ები) და საქართველოს კანონის „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, გარდა სხვაგვარად მითითებულისა. იხილეთ შენიშვნა 3.

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას მოითხოვს. აღნიშნული ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან მისი მსჯელობის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას. სფეროები, რომლებიც მსჯელობისა და კომპლექსურობის უფრო მაღალ დონეს მოიცავს, ან სფეროები, რომლებშიც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია შენიშვნაში 4.

უცხოურ ვალუტაში კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო ოპერირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა და კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“GEL”).

ტრანზაქციები და ნაშთები. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ლარში ხდება აღნიშნული თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში აღრიცხულია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. მსგავსი ტრანზაქციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში "ფინანსური შემოსავალი ან ხარჯების" მუხლში. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსით არ გამოიყენება არაფულად ერთეულებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით ფასდება. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი ერთეულების კონვერტაცია ხორციელდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაფულად ერთეულებზე სამართლიანი ღირებულების ცვლილებით გაპირობებულ შემოსულობასა ან ზარალში აღირიცხება.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო 1 აშშ დოლარი = 2.7020 ლარი და 100 რუსული რუბლი = 3.6770 ლარი (2021 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 3,0976 ლარი და 100 რუბლი = 4,1479 ლარი). ამჟამად, ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება 2010 წლის 1 იანვარს (ფას-ებზე გადასვლის თარიღი) განისაზღვრა მოცემული თარიღისთვის მისი სამართლიანი ღირებულების გამოყენებით.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ძირითადი საშუალებების ღირებულების ნაწილის სახით.

როდესაც ძირითადი საშუალების ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულები (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალების ერთეულის გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობისა და მისი საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წმინდა სახით მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯების ფარგლებში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტის ჩანაცვლების ხარჯი აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება, და მისი თვითღირებულება სანდოდ შეიძლება შეფასდეს. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა. ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება აქტივის თვითღირებულების საფუძველზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე პერიოდში, შემდეგია:

	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
შენობა-ნაგებობები	17-დან 45 წლამდე
ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები	25-დან 45 წლამდე
მანქანა-დანადგარები	3-დან 10 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	3-დან 10 წლამდე
საოფისე და სხვა აღჭურვილობა	5-დან 10 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო ღირებულებას, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან (გამოკლებული სავარაუდო გაყიდვის ხარჯები), თუ აქტივი უკვე არის იმ ასაკის და იმ მდგომარეობაში, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

არამატერიალური აქტივები კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო ვადები და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს.

შექმნილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის და ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება შეძენისა და ექსპლუატაციაში გაშვებისთვის გაწეული ხარჯების მიხედვით.

არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომელიც 7 წლით განისაზღვრება.

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გასვლის ხარჯები) შორის უდიდესზე ჩამოიწერება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების და საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე ან ჯერ გამოსაყენებლად ხელმოუწვდომელი გუდვილისთვის და არამატერიალური აქტივებისთვის, ანაზღაურებადი ღირებულება ფასდება ყოველ წელს ერთიდაიგივე დროს.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოღინებებისგან.

საოპერაციო სეგმენტის ზედა ზღვრის ტესტირების დაქვემდებარებით, გუდვილის გაუფასურების ტესტირების მიზნებისთვის, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც გუდვილი იქნა განაწილებული ჯგუფდება იმგვარად, რომ დონე რომელზეც გაუფასურებაზე ტესტირება ტარდება ასახავს ყველაზე დაბალ დონეს რომელზეც ხდება გუდვილის მონიტორინგი შიდა ანგარიშგების მიზნებისთვის. ბიზნეს შერწყმის შედეგად შეძენილი გუდვილი ნაწილდება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიიღებენ სარგებელს შერწყმის სინერგიებიდან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

ფინანსური ინსტრუმენტები. კომპანია იყენებს ფასს 9 „ფინანსურ ინსტრუმენტებს“, ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური აქტივების ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შეფასებისათვის.

ფინანსური ინსტრუმენტები –აღიარება და თავდაპირველი აღიარება. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს და სასესხო ფასიან ქაღალდებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხორციელდება გარიგების თარიღისთვის, როდესაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერი მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალ ინსტრუმენტებში შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების (რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის) თავდაპირველი აღიარებისას კომპანიას აქვს შეუქცევადი არჩევანის უფლება, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში განხორციელებული შემდგომი ცვლილებები. ეს არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღნიშნულ, აღიარდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ეს ვრცელდება ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივზე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოჩნდება, ამ მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამოებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

ფინანსური აქტივები - ბიზნეს მოდელის შეფასება: კომპანია აფასებს იმ ბიზნეს მოდელის მიზანს, რომლის ფარგლებშიც არის ფლობილი ფინანსური აქტივი პორტფელის დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის გზებს და ინფორმაცია მიწოდებულია ხელმძღვანელობისთვის. გათვალისწინებულია შემდეგი ინფორმაცია:

- პორტფელისთვის დადგენილი პოლიტიკები და მიზნები და აღნიშნული პოლიტიკების გამოყენება პრაქტიკაში. აღნიშნული მოიცავს: კონცენტრირებულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის ნებისმიერი დაკავშირებული ვალდებულებების ან მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადინებების ხანგრძლივობასთან შესაბამისობაზე, ან აქტივების გაყიდვით ფულადი ნაკადების რეალიზაციაზე.
- როგორ ფასდება პორტფელის მოსწრება და აღნიშნულის შესახებ ანგარიში მიეწოდება კომპანიის ხელმძღვანელობას;

- რისკები, რომლებსაც გავლენა აქვთ ბიზნეს მოდელის (და აღნიშნული ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და აღნიშნული რისკების მართვის გზები;
- როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა ანაზღაურება მართვის ქვეშ არსებული აქტივების სამართლიან ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- წინა პერიოდებში ფინანსური აქტივების გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, მსგავსი გაყიდვების მიზეზები და მომავალი გაყიდვების საქმიანობასთან დაკავშირებული მოლოდინები.

ფინანსური აქტივების მესამე მხარეებზე გადაცემა გარიგებებში, რომლებიც არ კლასიფიცირდება აღიარების შეწყვეტად არ არის მიჩნეული გაყიდვად ამ მიზნისათვის, კომპანიის აქტივების უწყვეტი აღიარების შესაბამისად.

სავაჭროდ ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა შედეგები სამართლიანი ღირებულების საფუძველზე არის შეფასებული, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივები - შეფასება იმისა წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს:

ამ შეფასების მიზნებისთვის, "ძირითადი თანხა" განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება მისი თავდაპირველი აღიარებისას. "პროცენტი" განისაზღვრება როგორც ანაზღაურება ფულის ღირებულებისა დროში და კონკრეტული დროის პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისთვის და სხვა ძირითადი სასესხო რისკებისთვის და ხარჯებისთვის (ანუ ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოიცავს მოგების მარჟას.

იმის შეფასებისას წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI კრიტერიუმი), კომპანია ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს ითვალისწინებს. აღნიშნული მოიცავს შეფასებას იმისა, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობას, რომელიც შეცვლიდა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას და ვადებს, იმგვარად, რომ ის აღარ დააკმაყოფილებდა აღნიშნულ პირობას. აღნიშნული შეფასების გაკეთებისას, კომპანია ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობითი მოვლენები, რომლებიც ფულადი ნაკადების ოდენობას ან ვადებს შეცვლიდნენ;
- პირობები, რომლებმაც შეიძლება კუპონის სახელშეკრულებო განაკვეთი შეცვალონ, მათ შორის ცვლადი განაკვეთის ფუნქციები;
- გადახდილი ავანსის და გახანგრძლივების პირობები; და
- პირობები, რომლებიც ზღუდავს კომპანიის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან (ანუ ფუნქციები რეგრესის უფლების გარეშე).

წინასწარ გადახდის ფუნქცია შეესაბამება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის კრიტერიუმს, თუ წინასწარ გადახდილი თანხის ოდენობა, ძირითადად, წარმოადგენს ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის დაუფარავ ოდენობებს, რაც შეიძლება მოიცავდეს გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ხელშეკრულების ნაადრევი შეწყვეტისთვის. ამასთანავე, ფასდაკლებით ან სახელშეკრულებო ნომინალურ ღირებულებაზე პრემიით შეძენილი ფინანსური აქტივისთვის, ფუნქცია რომელიც იძლევა წინასწარი გადახდის საშუალებას ან მოითხოვს წინასწარ გადახდას იმ ოდენობით, რომელიც არსებითად ასახავს სახელშეკრულებო ნომინალურ ოდენობას დამატებული დარიცხული (მაგრამ არა გადახდილი) სახელშეკრულებო პროცენტი (რომელიც ასევე შეიძლება მოიცავდეს გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ნაადრევი შეწყვეტისთვის), მიჩნეულია როგორც შესაბამისი აღნიშნულ კრიტერიუმთან, თუ წინასწარი გადახდის ფუნქციის სამართლიანი ღირებულება არა-არსებითია თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივები – შემდგომი შეფასება და ამონაგები და ზარალი

სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური აქტივები	ეს აქტივები შემდგომში შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. წმინდა ამონაგები და ზარალი, ნებისმიერი საპროცენტო ან დივიდენდის შემოსავლის ჩათვლით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	ეს აქტივები შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ინვესტიციები	ეს აქტივები შემდგომში შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. ეფექტური პროცენტის მეთოდით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა წმინდა შემოსულობა და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. აღიარების შეწყვეტისას, სხვა სრულ შემოსავალში დაგროვილი შემოსულობა და ზარალი რეკლასიფიცირებულია მოგებაში ან ზარალში.
სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული კაპიტალის ინვესტიციები	ეს აქტივები შემდგომში შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. დივიდენდები აღიარდება, როგორც შემოსავალი მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც დივიდენდი აშკარად წარმოადგენს ინვესტიციის ღირებულების ნაწილის აღდგენას. სხვა წმინდა ამონაგები და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და არასოდეს არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება: თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილება ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას (ანუ კონვერტაციის ფუნქციის დამატება).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური აქტივები – აღიარების შეწყვეტა: კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური აქტივები - გაუფასურება: კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ზარალის რეზერვებს აღიარებს:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე;
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ ინვესტიციებზე სავალო ინსტრუმენტებში;

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

- ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევების შედეგად (ან უფრო მოკლე პერიოდში თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

ფინანსური აქტივები - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ანგარიშდება, როგორც ყველა ფულადი დანაკლისის (სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით კომპანიის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის „კომპანია“) მიმდინარე ღირებულება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივები - საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები: ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს გაუფასურდა თუ არა საკრედიტო რისკით ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა იმ პირობებით რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

ფინანსური აქტივები - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში: ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის, ზარალის რეზერვი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა: ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, როდესაც კომპანიას არ გააჩნია ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის, კომპანიას აქვს განსაზღვრული ბრუტო საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკა, როდესაც ფინანსური აქტივი არის 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული, მსგავსი აქტივების ამოღების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. კორპორატიული მომხმარებლების შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს ვადებისა და ჩამოწერის ოდენობების ინდივიდუალურ შეფასებას, იმის გათვალისწინებით არსებობს თუ არა აქტივის ამოღების გონივრული მოლოდინი. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება მაინც გახდეს სააღსრულებლო საქმიანობის საგანი იმისათვის, რომ მოვიდეს კომპანიის თანხების ამოღების პროცედურებთან შესაბამისობაში.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიას აქვს ფიქსირებულგანაკვეთიანი საბანკო სესხები, რომელთათვისაც ბანკებს აქვთ საპროცენტო განაკვეთის გადახედვის საშუალება NBRK -ის მიერ დადგენილი საკვანძო განაკვეთის ცვლილების შემდეგ. კომპანიას აქვს საშუალება მიიღოს შეცვლილი განაკვეთი ან დაფაროს სესხი მისი ნომინალური ღირებულებით ჯარიმის გადახდის გარეშე. კომპანია განიხილავს ამ სესხებს, როგორც არსებითად მცურავი განაკვეთის მქონე სესხებს.

ფინანსური ვალდებულებები- მოდიფიცირება: კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად ბანკის მიერ განხორციელებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში სებ-ს მიერ განხორციელებული საკვანძო განაკვეთების ცვლილების გამო, თუ სასესხო ხელშეკრულება ამღევს ბანკს ამის საშუალებას და კომპანიას აქვს საშუალება მიიღოს შეცვლილი განაკვეთი ან დაფაროს სესხი მისი ნომინალური ღირებულებით ჯარიმის გადახდის გარეშე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები, თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებას ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა: კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როცა მისი პირობები არის მოდიფიცირებული და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ურთიერთგადაფარვა ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება. კომპანიას ამჟამად აქვს ურთიერთგადაფარვის იურიდიულად აღსრულებადი უფლება, რომელიც არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და აღსრულებადია როგორც საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ასევე კომპანიის და მისი ყველა კონტრაქტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

იჯარები როგორც მოიჯარე. საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადებისას ან მისი მოდიფიცირებისას, კომპანია, ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მათი შესაბამისი დამოუკიდებელი ფასების მიხედვით.

როდესაც კომპანია მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, კომპანია ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, კომპანიამ გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ კომპანია ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

კომპანია საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე, „საიჯარო შემოსავლის“ კატეგორიაში.

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს. წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება ხელშეკრულებებზე რომლებიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ხელმძღვანელობა კომპანიის განუსაზღვრელ საგადასახადო პოზიციებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებიც, ხელმძღვანელობის აზრით, დიდი ალბათობით გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას თუ აღნიშნულ პოზიციებს საგადასახადო ორგანოები გადახედავენ. აღნიშნული შეფასება დაფუძნებულია იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციაზე, რომლებიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. საურავებთან, პროცენტებთან და გადასახადებთან (მოგების გადასახადის გარდა) დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. განუსაზღვრელი მოგების გადასახადის პოზიციების კორექტირებები (ჯარიმებისა და პროცენტების გარდა) მოგების გადასახადის ხარჯებში აისახება.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გადასახდელი დღგ, რომელიც გაყიდვებს უკავშირდება, უნდა იქნეს გადახდილი საგადასახადო ორგანოებისათვის, იმის მიხედვით თუ რომელი მოვლენა უფრო ადრე დადგება: (ა) დებიტორული დავალიანებების შეგროვება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. ზოგადად, ჩასათვლელი დღგ ამოღებადია გადასახდელი დღგ-ის საპირწონედ, დღგ-ს ანგარიშგაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ჩასათვლელი დღგ, რომელიც ძირითადი საშუალებების შეძენას უკავშირდება, 5 ან 10 წლით გადავადდება იმ საწარმოებისთვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებაზე ან დამუშავებაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. მარაგების ხარჯები, რომლებიც ემსახურება სარემონტო და ტექნიკური მომსახურებას ყოველდღიურ მომსახურებას, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოშობისთანავე.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადატანილია ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება. სხვა გადახდილი ავანსები მოგებაში ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები საკუთარ კაპიტალში აისახება, შემოსავლებიდან გამოქვითვის სახით, გადასახადების გარეშე. მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი მეტობა გამოშვებული აქციის ნომინალურ ღირებულებაზე აღირიცხება საკუთარ კაპიტალში საემისიო შემოსავლის სახით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს, მათი გამოცხადებისა და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღამდე ნებისმიერი გამოცხადებული დივიდენდები წარმოდგენილია ანგარიშგების შენიშვნაში "შემდგომი მოვლენები".

ანარიცხები ვალდებულებებისა და დარიცხვებისთვის. ანარიცხების აღიარება ხდება, როცა ჯგუფს აქვს სანდოდ შეფასებადი, სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების გადასახადებამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და ვალდებულებებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება ისეთი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი ასეთი მოვლენის მოხდენამდე იქნება გადახდილი, იგი გადახდილი ავანსის სახით აღიარდება.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. შემოსავალი აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით შეგროვებული თანხების გამოკლებით.

შემოსავალი აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღე-ს გარეშე.

მომსახურება გაყიდვა - ელექტროენერგიის გადაცემა. ელექტროენერგიის გადაცემის საფასური ეფუძნება კომპანიის ხაზების საშუალებით გადაცემული ელექტროენერგიის ოდენობას და შესაბამის ფიქსირებულ ტარიფს. მიწოდებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც მომსახურება იქნა გაწეული. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების შესასრულებელი ვალდებულება მიჩნეულ იქნა დაკმაყოფილებულად დროთა განმავლობაში, იმიტომ, რომ მომხმარებელი თანადროულად იღებს და მოიხმარებს სარგებელს. მომხმარებლებს ეგზავნებათ ინვოისი ყოველთვიურად და მომსახურების გადახდა ხდება ინვოისის მიღების შემდგომ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების მიხედვით 2021 წლის 1 ივლისიდან მომსახურების გაწევა შეჩერებულია.

შემოსავალი სარემონტო და ტექნიკური მომსახურებიდან. კომპანია გასწევს მომსახურებას ცვლადი ფასის კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანია დროთა განმავლობაში გადასცემს მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დროთა განმავლობაში. მომსახურების მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც გაწეულია მომსახურება. ფიქსირებული ფასის კონტრაქტებისთვის, შემოსავალი აღიარებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფუძველზე.

მომხმარებელი იღებს და ამავდროულად მოიხმარს მიღებულ სარგებელს, საწარმოს მხრიდან შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისთანავე.

კომპანია აფასებს მის პროგრესს დროთა განმავლობაში შესასრულებელი ვალდებულების სრულად დაკმაყოფილებისკენ „გამოყენებული რესურსების მეთოდის“ საფუძველზე. გამოყენებული რესურსების მეთოდი აღიარებს შემოსავალს კომპანიის ძალისხმევის ან შესასრულებელი ვალდებულების დასაკმაყოფილებლად გამოყენებული რესურსების საფუძველზე, აღნიშნული შესასრულებელი ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მთლიან მოსალოდნელ რესურსებთან შედარებით. კომპანიის მიერ გამოყენებული რესურსების გახარჯვა პერიოდის განმავლობაში ხდება თანაბრად, შესაბამისად კომპანია აღიარებს შემოსავალს წრფივი მეთოდის საფუძველზე.

როდესაც კონტრაქტები მოიცავს მრავალ შესასრულებელ ვალდებულებას, გარიგების ფასი ნაწილდება ცალკეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე, ცალკეულ გაყიდვის ფასებზე დაყრდნობით. სადაც აღნიშნული არ არის პირდაპირ იდენტიფიცირებადი, ამ შემთხვევაში შეფასება ხდება მოსალოდნელ თვითღირებულებას დამატებული მარჟის ან ნარჩენი ღირებულების მეთოდის საფუძველზე. გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორ შესასრულებელ ვალდებულებას: საოპერაციო იჯარას, რომლის აღრიცხვაც ხდება ფასს 16-ის შესაბამისად (შენიშვნა 7) და სარემონტო და ტექნიკურ მომსახურებას (შენიშვნა 12). იმის გამო, რომ საბაზრო ფასები არ არის პირდაპირ იდენტიფიცირებადი, კომპანია აფასებს ცალკეულ გაყიდვის ფასს იმ ოდენობით, რაც გამოიწვევს გარიგების ფასის განაწილებას თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე (ან ცალკეულ საქონელზე ან მომსახურებაზე) იმ ოდენობით, რომელიც ასახავს ანაზღაურების ოდენობას, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის სანაცვლოდ.

საფინანსო კომპონენტები. კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულების გაფორმებას, რომელშიც დაპირებული მომსახურების მომხმარებლისთვის მიწოდებიდან მომხმარებლის მიერ საფასურის გადახდას შორის პერიოდი შეიძლება აღემატებოდეს ერთ წელს. შედეგად, კომპანია არ ცვლის ოპერაციის ფასებს ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები: კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი;
- საპროცენტო შემოსავალი სასესხო მოთხოვნებზე;

- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების გაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი ანგარიშდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უზრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

დასაქმებულთა გასამრჯელოები დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს აღნიშნული თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და როდესაც ხსენებული ვალდებულება შესაძლებელია საიმედოდ იქნას შეფასებული.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის დამტკიცება, რომელმაც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა გამოსაშვებად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 12 და 7 – იჯარა, როგორც მეიჯარე: ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას იმის დასადგენად, გადაეცემა თუ არა კონტრაქტებს საიჯარო აქტივების მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი (სადაც კომპანია არის მეიჯარე), კერძოდ კი იმის დასადგენად თუ რომელი რისკი და სარგებელია ყველაზე მნიშვნელოვანი და რა წარმოადგენს არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს.

ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის მიერ იჯარით გაცემული აქტივი - მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, წარმოადგენს ბასს 16 - "ძირითადი საშუალებები"-თ აღრიცხვის საგანს და არა ბასს 40 - "საინვესტიციო ქონება"-ს. აღნიშნული მსჯელობისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ბიზნეს მოდელს, მათ შორის საიჯარო შემოსავლის ცვალებადობას და იმ ფაქტს, რომ ნაგებობის შენობად განსაზღვრა განსჯის საკითხია. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იჯარით გაცემული აქტივები პირდაპირ არ შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს, როგორც მიწა ან შენობა. ხელშეკრულების პირობები მიუთითებს, რომ კომპანია არის მეიჯარე ამ შეთანხმებაში და გარიგება აღრიცხული უნდა იყოს ფასს 16-ის შესაბამისად (შენიშვნა 8).

მნიშვნელოვანი განსჯა იქნა გამოყენებული იმის დასადგენად, წარმოადგენს თუ არა ხელშეკრულება ფინანსურ ან საოპერაციო იჯარას. ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ იჯარის ვადა განუსაზღვრელია და რომ იჯარის გაუქმება შეიძლება მოხდეს ისეთ გარემოებებში, რომელიც კომპანიის ან სსე-ს კონტროლის მიღმაა. გარდა ამისა, იჯარის გადახდები ფიქსირებულია იჯარის პირველი 5 წლის განმავლობაში. ამ პერიოდის შემდეგ კონტრაქტის ფასი შეიცვლება სემეკ-ის (მარეგულირებელი) მიერ, რათა ასახოს საბაზრო უკუგების დონე დარეგულირებელი აქტივების ბაზაზე. გარდა ამისა, კომპანიას შეუძლია მოითხოვოს საიჯარო გადასახადების გაზრდა პირველი 5 წლის განმავლობაში, თუ საბაზრო პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნება. ასევე შესაძლებელია, რომ 5 წლის შემდეგ მარეგულირებელმა სრულად შეცვალოს ტარიფის/იჯარის გადახდების დადგენის მოდელი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, იჯარის გადასახადები არის ცვალებადი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიისგან სსე-ზე არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადაცემული არ არის, როგორც ამას მოითხოვს ფასს 16-ის 62-ე პუნქტი: იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას.“ საიჯარო გადახდების ცვალებადობა აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ხელშეკრულება არ არის ფინანსური იჯარა, არამედ წარმოადგენს საოპერაციო იჯარას.

- შენიშვნები 7 და 3 – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის.
- დონე 2: მონაცემები გარდა პირველ დონეში შემავალი მონაცემებისა, რომლებიც დაკვირვებადია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის. კომპანია აღიარებს მოძრაობას სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის დროსაც წარმოიშვება ცვლილება.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2023 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანის ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები)

2020 წელს გამოშვებული შესწორებები, მიზნად ისახავს იმ მოთხოვნების დაზუსტებას, რომლებიც განსაზღვრავს არის თუ არა ვალდებულება მოკლევადიანი ან გრძელვადიანი და გამოიყენება წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ. თუმცა, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ გადაწყვიტა შეეთავაზებინა შემდგომი ცვლილებების შეტანა ბასს 1-ში და 2020 წლის შესწორებების ძალაში შესვლის თარიღი არაუადრეს 2024 წლის 1 იანვრამდე გადაეტანა.

სხვა სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და კორექტირებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2023 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

(i) ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანის ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები).

2020 წელს გამოშვებული შესწორებები, რომლებიც მიმართულია იმ მოთხოვნების დაზუსტებაზე რომლებიც განსაზღვრავს არის თუ არა ვალდებულება მოკლევადიანი ან გრძელვადიანი და გამოიყენება წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ. თუმცა, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ გადაწყვიტა შეეთავაზებინა შემდგომი ცვლილებების შეტანა ბასს 1-ში და 2020 წლის შესწორებების ძალაში შესვლის თარიღი არაუადრეს 2024 წლის 1 იანვრამდე გადაეტანა.

(ii) სხვა სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და კორექტირებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების შესწორებები
- სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტებითი შენიშვნები (ბასს 1-ის და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის შესწორებები)
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორებები).
- ერთი გარიგების შედეგად წარმოშობილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი (ბასს 12-ის შესწორებები).

6. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, მიჩნეულია როგორც დაკავშირებული თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან თუ ერთ მხარეს აქვს უნარი აკონტროლოს მეორე მხარე ან მოახდინოს მასზე არსებითი გავლენა ან იქონიოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, გათვალისწინებულია ურთიერთობის არსი და არა მხოლოდ მისი იურიდიული ფორმა.

კომპანია ყოველდღიურ საქმიანობებს აწარმოებს მთელ რიგ ორგანიზაციებთან, რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან არის საქართველოს მთავრობის და/ან რუსეთის ფედერაციის მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. კომპანიამ აირჩია ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ განთავსიუფლების გამოყენება, რომელიც იძლევა დაკავშირებული მხარის შესახებ ინფორმაციის შემცირებული სახით წარდგენის ნებართვას, მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით. სახელმწიფოსთან დაკავშირებული ოპერაციები ასევე მოიცავს გადასახადებს, წმინდა საგადასახადო პოზიცია ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

(ათასი ლარი)	შემოსავალი დაკავშირებული მხარეებისგან	შესყიდვები/ ხარჯები დაკავშირებული მხარეებისგან	დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნები	დაკავშირებული მხარეების მიმართ ვალდებულებები
პირდაპირი მშობელი კომპანია				
FGC UES PJSC	1,462	-	91	-
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები				
სს "თელასი"	-	-	954	-
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"	29,762	-	2,927	-

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

(ათასი ლარი)	შემოსავალი დაკავშირებული მხარეებისგან	შესყიდვები/ ხარჯები დაკავშირებული მხარეებისგან	დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნები	დაკავშირებული მხარეების მიმართ ვალდებულებები
პირდაპირი მშობელი კომპანია	1,462	-	91	-
<i>FGC UES PJSC</i>				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	4,910	-	2,461	-
სს "თელასი"	14,881	-	2,927	-
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"	191	-	-	-
სხვა საწარმოები	1,462	-	2,631	-

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სხვა შემოსავლებისა და ხარჯების და სხვა მთავრობასთან დაკავშირებულ ერთეულებთან დაკავშირებული ნაშთების ჯამური ოდენობები არ არის არსებითი.

წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება წამყვანი ხელმძღვანელობა გენერალურ დირექტორს და გენერალური დირექტორის მოადგილეს მოიცავს. სულ, წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება, რომელიც შეტანილია დასაქმებულთა გასამრჯელოს ხარჯებში შეადგენს 1,968 ათას ლარს (2021 წელს 2,254 ათასი ლარი). წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება ძირითადად მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასს და საოპერაციო შედეგების მიხედვით გაცემულ პრემიას. სააქციო კაპიტალისა და დივიდენდების განაწილების შესახებ ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 12-ში.

7. ძირითადი საშუალებები

მოძრაობა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში იყო შემდეგი:

(ათასი ლარი)	მიწა და შენობა- ნაგებობები	მომხმარებელზე იჯარით გაცემული ელექტრო გადამცემი ხაზები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე და სხვა აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა*	სათადარიგო ნაწილები	სულ
თვითღირებულება								
2021 წლის 1 იანვარს	4,796	89,119	9,051	7,709	1,632	1,982	3,638	117,927
შესყიდვები	31	-	678	1,613	584	4,032	119	7,057
გასვლები	-	-	(13)	(558)	(440)	-	(136)	(1,147)
2021 წლის 31 დეკემბერს	4,827	89,119	9,716	8,764	1,776	6,014	3,621	123,837
შესყიდვები	2	-	157	1,952	542	38,637	539	41,814
გასვლები	-	(522)	(28)	(847)	(434)	-	-	(1,831)
გადამცემი	-	1,754	10,148	-	-	(11,902)	-	-
2022 წლის 31 დეკემბერს	4,829	90,351	19,993	9,869	1,884	32,749	4,160	163,820
დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია								
2021 წლის 1 იანვარს	322	32,329	4,754	3,410	797	-	-	41,612
ცვეთის დარიცხვა	108	2,313	267	1,464	171	-	-	4,323
გასვლები	-	-	(19)	(392)	(43)	-	-	(454)
2021 წლის 31 დეკემბერს	430	34,642	5,002	4,482	925	-	-	45,481
ცვეთის დარიცხვა	108	2,308	260	1,420	185	-	-	4,281
გასვლები	-	-300	-23	-730	-12	-	-	(1,065)
2022 წლის 31 დეკემბერს	538	36,650	5,239	5,172	1098	-	-	48,697
საბალანსო ღირებულება								
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	4,397	54,477	4,714	4,282	851	6,014	3,621	78,356
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	4,291	53,701	14,754	4,682	786	32,749	4,160	115,123

*დაუმთავრებელი მშენებლობა (CIP) და დაუმონტაჟებული მოწყობილობები (სათადარიგო ტრანსფორმატორი)

ელექტროგადამცემი ხაზების სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია 25-45 წლით. ხელმძღვანელობას აღნიშნული ვარაუდი ინდუსტრიის ცოდნითა და გადამცემი ხაზების საოპერაციო პირობებით არის განპირობებული.

სათადარიგო ნაწილები წარმოადგენს აქტივებს, რომელიც აუცილებელია გადამცემი ხაზების სარემონტო სამუშაოებისთვის, საჭიროებისამებრ. აქტივები არ ცვდება, რადგან დამონტაჟებამდე არ არიან მზად გამოყენებისთვის.

გამოყენების უფლებით აქტივის ცვეთისა და არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის ხარჯი 2022 წლისთვის არის 79 ათასი ლარით (2021 წელს: 86 ათასი ლარი).

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს გარდაბანის 330 კილოვატიანი ხაზის მშენებლობას (გაორჯაჭვიანებას), რომელიც წარმოადგენს გარდაბანის 500 კილოვატიანი ხაზის ნაწილს და აერთებს საქართველოსა და აზერბაიჯანის ელექტროსისტემებს. პროექტის დასრულების შემდეგ, აქტივები ელექტროგადამცემი ხაზების ჯგუფს დაემატება. მშენებლობის დასრულება 2023 წელს არის მოსალოდნელი.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას აქვს 4,069 ათასი ლარის ღირებულების სრულად გაცვეტილი აქტივები, რომლებიც კვლავ გამოიყენება (2021 წელი: 530 ათასი ლარი).

კომპანიას აქვს აქტივები გამოყენების უფლებით და შესაბამისი საიჯარო ვალდებულებები, რომელთა ღირებულება შეადგენს 551 ათას ლარს და 578 ათას ლარს, შესაბამისად. აქტივი გამოყენების უფლებით იცვითება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე. აქტივი გამოყენების უფლებით აღიარებული იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და წარმოადგენს 2 მიწის ნაკვეთის იჯარას, რომლებზეც განთავსებულია საოფისე შენობა და საწყობები. იჯარებთან დაკავშირებული დეტალები შემდეგია:

- 2013 წლის 12 აგვისტოს, კომპანიამ გააფორმა მემკვიდრეობითი აღნაგობის შეთანხმება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან, 49 წლის ვადით.
- 2018 წლის 2 აგვისტოს, კომპანიამ გააფორმა სასაწყობო მიწის იჯარის ხელშეკრულება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან, 44 წლის ვადით.

კომპანიამ თავისი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები იჯარით გადასცა მის კლიენტს - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას, განუსაზღვრელი ვადით, საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებით (შენიშვნა 1). ხელშეკრულება მოიცავს საოპერაციო იჯარას და სარემონტო და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებულ არასაიჯარო კომპონენტს. ჯამური სახელშეკრულებო ფასი გადანაწილდა საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტზე შესაბამისად 1,540 ათასი ლარის და 940 ათასი ლარის ოდენობით (შენიშვნა 13).

როდესაც კომპანია არის მეიჯარე, ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარით მიღებული მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახადების შეფასება ხდება აქტივების ნარჩენი სასარგებლო მომსახურების ვადის და ფიქსირებული ანაზღაურების ოდენობის მიხედვით (34 წელი და 1,540 ათასი ლარი, შესაბამისად), სსე-სთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით. მომავალ მინიმალურ საიჯარო გადასახადებში ასევე გაითვალისწინება 908 ათასი ლარი ყოველთვიურად, FGC UES PJSC-თან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად, შემდეგნაირად:

<i>(ათასი ლარი)</i>	2022	2021
1 წელი	19,384	19,388
2 წელი	19,384	19,388
3 წელი	19,384	19,388
4 წელი	19,384	19,388
5 წელი	19,384	19,388
5 წელზე მეტი	562,146	581,640
მთლიანი არადისკონტირებული საოპერაციო იჯარის გადასახდელების მოთხოვნა 31 დეკემბრისთვის	659,068	678,580

იჯარით აღებული აქტივები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მოიჯარის მიერ სესხის აღების უზრუნველყოფის სახით.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები მოიცავს მესამე პირზე 10,411 ათასი ლარის ოდენობის წინასწარ გადახდილ თანხას, რომელიც დაკავშირებულია „გარდაბანის (330 კვ)“ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასთან. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი თანხა არის ნოლის ტოლი.

მოდრობა გადახდილ ავანსებში შემდეგია:

(ათასი ლარი)	გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	სულ
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრისთვის	-	-
შესყიდვები	12,053	12,053
დაუმთავრებელ მშენებლობაზე გადატანილი გადახდილი ავანსები	(1,642)	(1,642)
სულ გადახდილი ავანსები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	10,411	10,411
შესყიდვები	-	-
დაუმთავრებელ მშენებლობაზე გადატანილი გადახდილი ავანსები	(10,411)	(10,411)
სულ გადახდილი ავანსები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	-	-

8. მარაგები

(ათასი ლარი)	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სახარჯი მასალები	2,335	3,126
სხვა	661	586
სულ მარაგები	2,996	3,712

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ათასი ლარი)	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	4,519	5,596
სხვა ფინანსური მოთხოვნები	218	278
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის რეზერვი	(630)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში შეტანილი ფინანსური აქტივები	4,107	5,874
გამოკლებული გაუფასურების ანარიცხები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,107	5,874

სავაჭრო მოთხოვნა 205 ათასი ლარის ოდენობით (2021: 245 ათასი ლარი), გაუფასურების ზარალის ანარიცხების გამოკლებით, დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, ძირითადად რუსულ რუბლში.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისთვის, რომელიც იყენებს მთლიან სასიცოცხლო ვადაზე მოსალოდნელი ზარალის რეზერვს, ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე ან 2022 წლის 1 იანვრამდე 36 თვით ადრე და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალებს, რომელსაც ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის ასახვისთვის, რომელიც ეხება მაკროეკონომიკურ ფაქტორებს და გავლენას ახდენს მომხმარებლის უნარზე დაფაროს დებიტორული დავალიანებები. კომპანიამ დაადგინა, რომ ყველაზე რელევანტური ფაქტორები მშპ და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსია ქვეყანაში, რომელშიც ის ყიდის მის მომსახურებას, და შესაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის განაკვეთებს ამ ფაქტორების მოსალოდნელ ცვლილებებზე დაყრდნობით. საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის განსაზღვრულია ანარიცხის მატრიცის მიხედვით, რომელიც წარდგენილია ქვემოთ. ანარიცხის მატრიცა ეყრდნობა აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას და კორექტირებულია მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

(ათასი ლარი)	31 დეკემბერი 2022				31 დეკემბერი 2021			
	არსებობის მანძილზე		არსებობის მანძილზე		არსებობის მანძილზე		არსებობის მანძილზე	
	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ლირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა საბალანსო ლირებულება	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ლირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა საბალანსო ლირებულება
სავაჭრო მოთხოვნები								
- მიმდინარე	0.01%	2,927	-	2,927	0.01%	3,171	-	3,171
- 30 დღეზე ნაკლები								
ვადაგადაცი ლება	0.01%	-	-	-	0.01%	35	-	35
- 30 -დან 90 დღემდე								
ვადა- გადაცილება	0.01%	-	-	-	0.01%	118	-	118
- 91 -დან 180 დღემდე								
ვადა- გადაცილება	0.01%	-	-	-	0.01%	267	-	267
- 181 -დან 360 დღემდე								
ვადა- გადაცილება	0.01%	-	-	-	0.01%	-	-	-
- 360 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	39.56%	1,592	(630)	962	0.01%	2,005	-	2,005
სხვა მოთხოვნები								
- მიმდინარე	0.01%	218	-	218	0.01%	278	-	278
სულ	-	4,737	(630)	4,107	-	5,874	-	5,874

10. ფულადი სახსრები და ნაშთი ბანკში

(ათასი ლარი)	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები (ნაღდი ფული)	67	45
მოთხოვნისთანავე დასაფარი საბანკო ნაშთები	790	26,503
საბანკო დეპოზიტი	32,700	20,000
სულ ფულადი სახსრები და ნაშთი ბანკში 31 დეკემბერს	33,557	46,548

კომპანიამ განათავსა შემდეგი დეპოზიტები ბაზისბანკში:

- 2,700 ათასი ლარი, წლიური საპროცენტო განაკვეთით 13.05%. ხელშეკრულება დაიდო 2022 წლის 26 დეკემბერს, თავდაპირველი 3-თვიანი დაფარვის ვადით.
- 5,000 ათასი ლარი, წლიური საპროცენტო განაკვეთით 13.20%. ხელშეკრულება დაიდო 2022 წლის 30 სექტემბერს, თავდაპირველი 6-თვიანი დაფარვის ვადით.
- 15,000 ათასი ლარი, წლიური საპროცენტო განაკვეთით 13.05%. ხელშეკრულება დაიდო 2022 წლის 31 ოქტომბერს, თავდაპირველი 3-თვიანი დაფარვის ვადით.
- 10,000 ათასი ლარი, წლიური საპროცენტო განაკვეთით 13.20%. ხელშეკრულება დაიდო 2022 წლის 30 სექტემბერს, თავდაპირველი 9-თვიანი დაფარვის ვადით.

საპროცენტო სარგებელი ირიცხება ვადის გასვლის შემგომ; თუმცა კომპანიას შეუძლია ბანკის თანხმობით გამოიტანოს აღნიშნული თანხა და მიიღოს ამ თარიღისთვის დარიცხული პროცენტი.

ფულადი სახსრების და ნაშთი ბანკში საკრედიტო რისკის ხარისხი 31 დეკემბერის მდგომარეობით იყო შემდეგი:

(ათასი ლარი)	მოთხოვნისთანავე დასაფარი საბანკო ნაშთები	საბანკო დეპოზიტი
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული		
- სს "ბაზისბანკი" - B+ რეიტინგით (2021: B+ რეიტინგით) - S&P-ს მიხედვით	551	32,700
- სს "საქართველოს ბანკი" - BB- რეიტინგით (2021: BB- რეიტინგით) - S&P-ს მიხედვით	1	-
- სს „სბერბანკი“ - BBB- რეიტინგით (2017: BBB- რეიტინგით) - Fitch-ის მიხედვით	238	-
სულ ფულადი სახსრები და ნაშთი ბანკში, ნაღდი ფულის გარდა	790	32,700

11. სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული

ჩვეულებრივი აქციები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული, სრულად დაფარული	23,000,000
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული, სრულად დაფარული	23,000,000

მთლიანი ავტორიზებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა არის 23,000 ათასი აქცია (2021: 23,000 ათასი აქცია) ნომინალური ღირებულებით 10 ლარი აქციაზე (2021: 10 ლარი აქციაზე). ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია სრულად დაფარულია. ყველა ჩვეულებრივ აქციას ერთი ხმის უფლება აქვს.

ყველა დივიდენდი გამოცხადებულია ლარში. ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და აქვთ კომპანიის კრებებზე ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება.

2022 წლის ბოლოსთვის, კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდები არ არის გამოცხადებული და გადახდილი (2021: 600 ათასი ლარი).

12. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია იღებს შემოსავალს საქონლისა და მომსახურების გადაცემიდან დროთა განმავლობაში შემდეგ ძირითად მომსახურებებსა და გეოგრაფიულ რეგიონებში:

<i>(ათასი ლარი)</i>	2022	2021
შემოსავალი ელექტროენერგიის გადაცემიდან	-	15,932
შემოსავალი ელექტროენერგიის ექსპორტიდან	-	1,001
შემოსავალი სარემონტო და ტექნიკური მომსახურებიდან	11,973	6,197
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	11,973	23,130

კომპანია შემოსავალს იღებს ელექტროენერგიის გადაცემიდან და სარემონტო და ტექნიკური მომსახურებიდან.

შემოსავალი სარემონტო და ტექნიკური მომსახურებიდან წარმოადგენს შემოსავალს სსე-სთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან (შენიშვნა 1). კომპანიამ თავისი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები იჯარით გადასცა მის კლიენტს - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას, განუსაზღვრელი ვადით, საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებით. ხელშეკრულება მოიცავს ორ შესასრულებელ ვალდებულებას: შვიდი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის იჯარას და სარემონტო და ტექნიკური მომსახურებასთან დაკავშირებულ არასაიჯარო კომპონენტს. იჯარის კომპონენტი აღიარებულ იქნა, როგორც საოპერაციო იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად, ხოლო არასაიჯარო კომპონენტი აღიარებული იყო, როგორც შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ფასს 15-ის მიხედვით. ტრანზაქციის ფასის შესასრულებელ ვალდებულებაზე გადანაწილების მიზნით, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი თვითღირებულებას დამატებული მარჟის და ნარჩენი მეთოდის მიდგომების კომბინაცია.

ჯამური ანაზღაურება შეადგენს თვეში 2,480 ათას ლარს, რომელიც საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებზე გადანაწილდა შემდეგნაირად: 1,540 ათასი ლარი და 940 ათასი ლარი, შესაბამისად.

სარემონტო და ტექნიკური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი 688 ათასი ლარი შეადგენს FGC EES PJSC-ზე იჯარით გაცემული ელექტროგადამცემი ხაზების სარემონტო და ტექნიკური მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს (შენიშვნა 1). კონტრაქტთან ხელშეკრულება ფორმდება ყოველწლიურად და სამუშაოები სრულდება შესრულების პერიოდის განმავლობაში, შესაბამისად კომპანია აღიარებს შემოსავალს წრფივი მეთოდით, ამ პერიოდის განმავლობაში.

გადაცემიდან მიღებული შემოსავალი 2021 წლისთვის გამოითვლება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) მიერ დადგენილი გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ტარიფების საფუძველზე. 2021 წლის 1 იანვრიდან მისი ელექტროგადამცემი ხაზებით ერთი კვტ ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი იყო 0,00314 ლარი (2020: 0,00278 ლარი).

13. სხვა ხარჯები

(ათასი ლარი)	2022	2021
ტრანსპორტირება და საწვავი	884	748
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	638	666
სამივლინებო ხარჯები	348	348
დაზღვევის ხარჯები	251	256
პროფესიული მომსახურება	235	245
უსაფრთხოების ხარჯები	214	214
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	207	208
სოციალური ხარჯები	150	151
წარმომადგენლობითი და საკონფერენციო ხარჯები	35	85
საიჯარო ხარჯები	69	65
სხვა ხარჯები	1,049	1,016
სულ სხვა ხარჯები	4,080	4,002

პროფესიული მომსახურება მოიცავს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეულ აუდიტორულ და სხვა პროფესიულ მომსახურებებზე გადახდილ თანხას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

14. სხვა შემოსავალი

(ათასი ლარი)	2022	2021
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობა	872	264
სხვა	132	538
სულ სხვა შემოსავალი	1,004	802

15. ფინანსური ხარჯები

(ათასი ლარი)	2022	2021
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალები	374	232
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	64	64
მოგებაში ან ზარალში აღიარებული მთლიანი ფინანსური ხარჯები	438	296

16. ფინანსური შემოსავალი

(ათასი ლარი)	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	5,331	3,771
მოგებაში ან ზარალში აღიარებული მთლიანი ფინანსური შემოსავალი	5,331	3,771

17. მოგების გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მესაკუთრეებისთვის გადახდილი მთლიანი დივიდენდის 15/85-ს წარმოადგენს.

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანიის წინააღმდეგ შეიძლება დროდადრო წარმოიშვას პრეტენზიები. ხელმძღვანელობას, თავისი შეფასებების საფუძველზე, მიაჩნია, რომ რაიმე არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება ამ პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომელიც გადააჭარბებს იმ ანარიცხებს, რომელიც წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაშია ასახული.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს რაიმე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენა მოახდინოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ეკოლოგიური საკითხები საქართველოში ეკოლოგიური რეგულაციების ძალაში შესვლა განვითარების პროცესშია და სამთავრობო უწყებების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს ეკოლოგიური რეგულაციების ფარგლებში მის ვალდებულებას. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე აღიარდება. შეუძლებელია იმ პოტენციური ვალდებულებების შეფასება, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს არსებულ რეგულაციებში, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ან კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელებით, თუმცა მათ შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეთ. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში აღსრულების მოცემულ ვითარებაში, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა და გააცნობიერა გლობალური შეშფოთება კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ მოახდენს რეაგირებას კომპანიის სრულფასოვანი ოპერირების უზრუნველსაყოფად. ასევე მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ ეს ინსტრუქციები გავრცელდება იმ ბაზრებზე, რომლებშიც კომპანია ოპერირებს.

19. ფინანსური რისკის მართვა

რისკების მართვის საქმიანობები კომპანიაში ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებაში. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და სხვა ფასის რისკები), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზანია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფას, საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით.

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის ვერ შეასრულებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და წარმოიქმნება ძირითადად კომპანიის მომხმარებლების მიმართ არსებული მოთხოვნებიდან.

კომპანიას მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

საკრედიტო რისკის მართვა საკრედიტო რისკი კომპანიის სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელის (რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით), მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და დროის მსვლელობის გამოყენებას. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას, ისევე როგორც დაკავშირებული ზარალის განაკვეთებისა და კონტრაქტებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

ლიმიტები. კომპანია ქმნის თავისი საკრედიტო რისკის დონეს, ერთ მომხმარებელთან ან მომხმარებელთა ჯგუფებთან და გეოგრაფიულ და ინდუსტრიულ სეგმენტებთან მიმართებაში ნაკისრი რისკის დონის ლიმიტების დაწესებით. კომპანიის მომხმარებელთა ბაზის დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, იმ ინდუსტრიის დეფოლტის რისკის ჩათვლით, რომელშიც ფუნქციონირებენ კლიენტები, ნაკლები გავლენა აქვთ საკრედიტო რისკზე. თუმცა, გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად საქართველოშია კონცენტრირებული. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ყველა ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობა ინდივიდუალურად ფასდება სტანდარტული გადახდის და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. კომპანიის შეფასება მოიცავს გარე რეიტინგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რიგ შემთხვევაში საბანკო მონაცემებს. კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 45% (2020 წლის 31 დეკემბერი: 45%) უკავშირდება სავაჭრო ოპერაციებს ერთ კლიენტთან.

კომპანიის მომხმარებლების უმეტესობა აწარმოებს ოპერაციებს კომპანიასთან ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში და არსებით ზარალს იშვიათად ჰქონია ადგილი. კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესში, კლიენტები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით.

როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში უზრუნველყოფა არ მოითხოვება. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების დაახლოებით 50% (2020 წლის 31 დეკემბერი: 41%) ერთ კლიენტთან განხორციელებულ სავაჭრო ოპერაციებს უკავშირდება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში შეტანილი მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის გამოყენებას გულისხმობს. კომპანია გამოავლენს გარკვეულ ძირითად ეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განვითარებასთან. ეკონომიკური ცვლადების პროგნოზები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება კომპანიისგან და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. კომპანია აანალიზებს იმ ქვეყნების მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებშიც ის ყიდის თავის მომსახურებას. 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დებიტორული დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი კლიენტებისგანაა, კომპანიამ გაანალიზა საქართველოს მაკროეკონომიკური სცენარები და მათი შესაბამისი წილობრივი წონა საქართველოს ეროვნული ბანკის პუბლიკაციის მიხედვით.

კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს მის მეთოდოლოგიასა და დაშვებებს ფაქტორივ საკრედიტო ზარალსა და შეფასებებს შორის სხვაობის შესამცირებლად.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასის მიხედვით შემდეგია:

<i>(ათასი ლარი)</i>	<u>31 დეკემბერი 2022</u>	<u>31 დეკემბერი 2021</u>
<i>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 9)</i>		
- სავაჭრო მოთხოვნები	3,889	5,596
<i>ფულადი სახსრები და ნაშთი ბანკში (შენიშვნა 10)</i>		
- მოთხოვნისთანავე დასაფარი საბანკო ნაშთები	790	26,503
- საბანკო დეპოზიტები	32,700	20,000
საკრედიტო რისკზე მთლიანი მაქსიმალური დაქვემდებარება		
31 დეკემბრისთვის	37,379	52,099

საბაზრო რისკი კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება (ა) ვალუტის და (ბ) საპროცენტო განაკვეთის ღია პოზიციებიდან, რადგან თითოეული მათგანი ექვემდებარება ბაზრის ზოგად და სპეციფიკურ მოძრაობებს. ხელმძღვანელობა ადგენს დასაშვებ რისკის ოდენობის საზღვრებს, რომელთა მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება. თუმცა, აღნიშნული მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს აღნიშნულ ფარგლებს გარეთ, მეტად არსებითი საბაზრო მოძრაობების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მოქმედ დონეებში ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. მსგავსი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟა, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან წარმოქმნას ზარალი მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში. კომპანიას არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკები და პროცედურები, რადგან ხელმძღვანელობა არ მიიჩნევს ამ რისკს კომპანიის ბიზნესისთვის მნიშვნელოვნად. კომპანიას არ გააჩნია პროცენტის ვალდებულებები. მოთხოვნისთანავე დასაფარი ფულადი სახსრების ნაშთები და საბანკო ნაშთები ერთადერთ პროცენტთან აქტივს წარმოადგენს.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების პროგნოზებს. კომპანია მის აქციონერთან ათანხმებს ბიუჯეტირების ყოველწლიურ პროცესს. ბიუჯეტი მიმოხილულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და დამტკიცებულია აქციონერების მიერ. ბიუჯეტი ყოველთვის არის განახლებული ფაქტობრივი შედეგების საფუძველზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მათი ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით. ვადიანობის ცხრილში მოცემული თანხები სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს წარმოადგენს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეტანილი თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დისკონტირებულ ფულად ნაკადებზე არის დაფუძნებული.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის არის შემდეგი:

(ათასი ლარი)	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები		3-დან 12 თვემდე	12-თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
	ნაკლები	1-3 თვემდე	თვემდე	5 წლამდე	მეტი	სულ
ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა						
ვალდებულებები	266	-	-	-	-	266
საიჯარო ვალდებულებები	5	11	48	323	2,254	2,641
სულ მომავალი გადახდები, მომავალი ძირი თანხისა და პროცენტის გადახდების ჩათვლით	271	11	48	323	2,254	2,907

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის არის შემდეგი:

(ათასი ლარი)	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები		1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12-თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
	ნაკლები	1-დან 3 თვემდე	თვემდე	3-დან 12 თვემდე	12-თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები							
სავაჭრო და სხვა							
ვალდებულებები	226	-	-	-	-	-	226
საიჯარო ვალდებულებები	5	11	48	323	2,318	2,705	2,705
სულ მომავალი გადახდები, მომავალი ძირი თანხისა და პროცენტის გადახდების ჩათვლით	231	11	48	323	2,318	2,931	2,931

20. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლების და მოგების მუდმივი მონიტორინგით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების ფორმირებით, რომლებიც ძირითადად ფინანსდება კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით. ამ ღონისძიებების გატარებით, კომპანია მისი მოგების მდგრად ზრდას ისახავს მიზნად. წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიდგომის ცვლილებას.

კომპანია თვლის, რომ მთლიანი სამართავი კაპიტალი არის კაპიტალი, როგორც ეს წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კომპანია არ წარმოადგენს გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

21. სამართლიანი ღირებულების წარდგენა

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობების გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრებამდე მისვლა. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირითადი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მაგრამ, რომელთათვისაც, სამართლიანი ღირებულება წარდგენილია. სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულებები და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022			31 დეკემბერი 2021		
	დონე 1	დონე 2	საბალანსო	დონე 1	დონე 2	საბალანსო
(ათასი ლარი)	სამართლიანი ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები						
სხვა ფინანსური აქტივები						
ამორტიზებული ღირებულებით (AC)						
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33,557	-	33,557	46,548	-	46,548
- სავაჭრო მოთხოვნები	-	3,889	3,889	-	5,596	5,596
- სხვა მოთხოვნები	-	218	218	-	278	278
სულ აქტივები	33,557	4,107	37,664	46,548	5,874	52,422
ვალდებულებები						
სხვა ფინანსური ვალდებულებები						
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	267	-	267	277	-	277
სულ ვალდებულებები	267	-	267	277	-	277

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა
საქრუსენერგო

მმართველობითი ანგარიში

2022 წელი

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა

“საქრუსენერგო”

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა “საქრუსენერგო” (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 1996 წლის 27 მაისს საქართველოს მთავრობასა და სააქციო საზოგადოება „რუსეთის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის“ (РАО «ЕЭС России»-ს) შორის ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ დადებული შეთანხმების საფუძველზე.

„კომპანიის“ მფლობელები არიან საქართველოს სახელმწიფო (50%), რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ და რუსეთის ფედერაცია (50%), რომელიც წარმოდგენილია სს „ერთიანი ენერგო სისტემის“ ფედერალურ საქსელო კომპანიის“ (რუსეთის ფედერაციის ელექტროენერგიის გადაცემის საქსელო სისტემის ოპერატორი და მმართველი) მიერ.

სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოებას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს და მართავს გენერალური დირექტორი.

„კომპანია“ ფლობს და ექსპლუატაციას უწევს 500, 330 და 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს, მათ შორის სისტემათაშორის, საქართველოსა და რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 500 კვ ეგზ „კავკასიონს“, საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 500 კვ ეგზ „მუხრანის ველს“ და 330 კვ ეგზ „გარდაბანს“ (ორჯაჭვა 330 კვ ეგზ „1,2 გარდაბნის“ აშენებასთან დაკავშირებით განხორციელდა 330 კვ ეგზ „გარდაბნის“ დემონტაჟი. ორჯაჭვა 330 კვ ეგზ „1,2 გარდაბანი“ ექსპლუატაციაში შევა 2023 წლის ბოლომდე), საქართველოსა და თურქეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 220 კვ ეგზ „აჭარას“ (ამჯამად 220 კვ ეგზ „აჭარა“ არ ფუნქციონირებს. არსებული ინფორმაციით თურქეთის მხარეს მიმდინარეობს მისი დემონტაჟი). ასევე, შიდა სასისტემო 500 კვ ელექტროგადამცემ ხაზებს: „იმერეთს“, „ქართლი-1“-ს, „ქართლი-2“-ს, „მუხრანს“ და „ასურეთს“.

„კომპანიის“ საქმიანობის ამოცანა და მიზანია:

- საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება და უსაფრთხო ექსპლუატაცია;
- ელექტროენერგიის შეუფერხებელი გადაცემა, მათ შორის ტრანზიტული გადაცემის უზრუნველყოფა;
- მეზობელი ქვეყნების ენერგეტიკულ სისტემებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეწყობა;

აღნიშნულის განხორციელებისათვის საკუთრებაში არსებულ ელექტროგადამცემ ხაზებზე, „კომპანია“ მუდმივად ახორციელებს აუცილებელ პროფილაქტიკურ, სარეკონსტრუქციო, სარემონტო და აღდგენით სამუშაოებს. ელექტროგადამცემ ხაზებს ექსპლუატაციას უწევს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განლაგებული საექსპლუატაციო-სარემონტო უბნები და ფილიალი რუსეთის ტერიტორიაზე. უბნები საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიებზე დაკომპლექტებულია კვალიფიკაციური პერსონალით და აღჭურვილია გადამცემი ხაზის მომსახურებისათვის საჭირო თანამედროვე სტანდარტების ხელსაწყო-იარაღებითა და სპეცტექნიკით.

2021 წელს კომპანიამ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ გააფორმა იჯარის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც მოხდა კომპანიის საკუთრებაში არსებული მაღალი ძაბვის გადამცემი ელექტროენერგიის ხაზების იჯარით გადაცემა უვადოდ. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2021 წლის 1 ივლისიდან, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კომპანიის ბიზნეს მოდელზე. ამ თარიღის შემდგომ კომპანიის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს საიჯარო და თანმდევი სარემონტო სამუშაოებიდან მიღებული შემოსავალი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შემოსავლის იღებს მხოლოდ ორი დებიტორისგან: „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და სს „ერთიანი ენერგო სისტემის ფედერალურ ქსელურ კომპანიის“.

„საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ 2021 წლის 24 ივნისის №28/2 გადაწყვეტილებით გაუქმებულ იქნა სს გეს „საქრუსენერგო“-ზე გაცემული ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზია ხოლო ამავე კომისიის 2021 წლის 29 ივნისის №26 დადგენილებით 5 წლით დადგენილ იქნა გადაცემის სისტემის ოპერატორის ახალი ტარიფი (მათ შორის გამოთვლილ იქნა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ გადაცემული ქონების იჯარის და თანმდევი სარემონტო-საექსპლუატაციო მომსახურების გაწევის ღირებულება).

კომისიის ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად, განისაზღვრა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ გადაცემული ქონების იჯარისა და თანმდევი სარემონტო-საექსპლუატაციო მომსახურების გაწევის ღირებულება.

2022 წელს „კომპანიამ“ მიიღო 12,583 ათასი ლარის წმინდა მოგება, ხოლო 2023 წლისთვის დაგეგმილია 7,007 ათასი ლარი მოგების მიღება.

„კომპანიის“ EBITDA¹ 2022 წელს იყო 16, 966 ათასი ლარი, 2023 წელს დაგეგმილია 13,085 ათასი ლარის .

რაც შეეხება ფულად სახსრებს, 2022 წლის ბოლოსთვის, „კომპანიის“ ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები იყო 33,557 ათასი ლარი. 2023 წლის ბიზნეს გეგმის მიხედვით კი „კომპანია“ ვარაუდობს, რომ მისი ფულადი სახსრები იქნება 8,976 ათასი ლარი.

გვინდა ავღნიშნოთ, რომ ახლო მომავალში, გენერაციის ობიექტების მშენებლობასთან ერთად აუცილებელი გახდება გადამცემი ქსელის მნიშვნელოვანი განვითარება, როგორც მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ასევე შიდა სასისტემო, როგორც ახალი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის, ასევე არსებულების მოდერნიზაციის გზით.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული გადამცემი ქსელის განვითარების 2021-2031 და 2022-2032 წლების ათწლიანი გეგმის მიხედვით „კომპანიამ“ განახორციელა ორჯაჭვა 330 კვ ეგზ „1,2 გარდაბნის“ მშენებლობა ქვესადგური „გარდაბანი-500“-დან საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრამდე. ორჯაჭვა 330 კვ ეგზ „1,2 გარდაბნის“ სამშენებლო-სამონტაჟო და არსებული 330 კვ ეგზ „გარდაბნის სადემონტაჟო სამუშაოები დაიწყო 2021 წლის 12 აპრილს და დასრულდა 2022 წლის 30 მაისს. 2022 წლის 30 მაისს 330 კვ ეგზ „გარდაბანი-1“ ჩაერთო საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემებში. 2022 წლის 31 დეკემბერს გარდაბნის ქვესადგურში ახალი ატ 3-2 ავტოტრანსფორმატორების ჯგუფის დამონტაჟების შემდეგ 330 კვ ეგზ „გარდაბანი-2“-იც ჩართული იქნა ენერგოსისტემაში, რომელის დატვირთვაც 330 კვ ეგზ „გარდაბანი-1“-ის მსგავსად შესაძლებელია 700 მგვტ-მდე სიმძლავრით. რაც პრაქტიკულად გამორიცხავს საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების პარალელურ რეჟიმში ფუნქციონირების შეფერხებას. ორჯაჭვა 330 კვ ეგზ „1,2 გარდაბნის“ აშენებით იმნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს ენერგოსისტემის მდგრადობა, ამაღლდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უწყვეტი ელექტროენერგიით მომარაგების საიმედოობას.

სს გეს „საქრუსენერგოსთან“ გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე მშენებლობა განაცხადდა სს „ენერგონმა“. სამუშაოების მიმდინარეობას ზედამხედველობას უწევდა აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანო - „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“.

საქართველოს ტერიტორიაზე ორჯაჭვა 330 ეგზ „1,2 გარდაბნის“ სიგრძე 20 კმ-მდე და მასზე დამონტაჟებულია 69 ანძა. გაიჭიმა 235 კმ სადენი. ახალი ელექტროგადამცემი ხაზი აღჭურვილია ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით.

2022-2032 და 2023-2033 წლების საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის შესაბამისად სს გეს „საქრუსენერგომ“ უნდა განახორციელოს პროექტი „მარნეული-აირუმი“, რომელიც გულისხმობს 18,5 კმ სიგრძის ახალი 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას 500 კვ ეგზ „მუხრანის“ N42 ანძიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე და 17 კმ არსებული 500 ეგზ „მუხრანის“ N42-N109 ანძებს შორის მონაკვეთის რეკონსტრუქციას. პროექტის განხორციელების ვადებია 2023-2025 წლები.

500 კვ ეგზ „მარნეული-აირუმის“ სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე ქვესადგურიდან „მარნეული-500“ საქართველო-სომხეთის საზღვრამდე შეადგენს 35,56 კმ-ს. მანძილი საქართველო-სომხეთის საზღვრიდან აირუმის 500 კვ ქვესადგურამდე კი 10-12 კმ-ია. დღეისათვის კომპანიას აქვს 500 კვ ეგზ „მარნეული-აირუმის“ ახალსაშენებელი და სარეკონსტრუქციო მონაკვეთის კომპლექსური პროექტი და ობიექტის მშენებლობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. ამჟამად აქტიურად მუშაობს მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების სარგებლობაში მიღებისა და სამშენებლო ნებართვის მოსაპოვებლად.

500 კვ ეგზ „მარნეული-აირუმის“ სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა დაწყება შესაძლებელი იქნება 2023 წლის მეორე კვარტლიდან.

აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზით საგრძნობლად გაიზრდება საქართველოსა და სომხეთის ენერგოსისტემების მდგრადობა და სიმძლავრეთა მიმოცვლის მოცულობა. გადამცემი ხაზი შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც სატრანზიტო ზაფხულში, საქართველოში გამომუშავებული ჭარბი ელექტროენერგიის საექსპორტოდ მეზობელ ქვეყნებში, ხოლო ზამთარში მნიშვნელოვანი ენერგიის დეფიციტის შესავსებად.

2022-2032 წლების საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით გათვალისწინებულია „500 კვ ეგზ „იმერეთის“ რეაბილიტაცია“.

500 კვ ეგზ „იმერეთი“ შიდა სასისტემო ელექტროგადამცემი ხაზია და იგი მო ნაწილობს ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველყოფაში. იგი ექსპლუატაციაში შევიდა 1978 წელს და ერთმანეთთან აკავშირებს ენგურჰესს და ქ/ს „ზესტაფონი-500“-ს. ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე 131 კმ-ია და მოიცავს 388 ანძას.

ენგურჰესის გამომუშავება 3,5 მლრდ.კვტ.სთ-ია (დადგმული სიმძლავრე 1300 მგვტ), საიდანაც 2/3 გამომუშავებული ელექტროენერგიისა გადაიცემა 500 კვ ეგზ „იმერეთის“ საშუალებით, რომელსაც ემატება ასევე ელექტროენერგიის ის რაოდენობა, რომელიც საქართველოში შემოდის 500 კვ ეგზ „კავკასიონის“ საშუალებით.

ენგურჰესიდან ქ/ს „ზესტაფონი-500“-მდე ელექტროენერგიის გადაცემა შესაძლებელია ასევე 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებითაც, მაგრამ მათ არ შეუძლიათ იმ ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გატარება რაც შეიძლება საჭირო გახდეს 900 მგვტის და უფრო მეტი სიმძლავრით დატვირთული 500 კვ ეგზ „იმერეთის“ ავარიული გამორთვის შემთხვევაში. ეგზ „იმერეთის“ ტექნიკური მდგომარეობა კი ისეთია, რომ მიუხედავად გაწეული ფართომასშტაბიანი სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისა, არსებობს სუსტი ადგილები, როგორებიცაა სადენები, რომელთაც ექსპლუატაციის ვადებიდან და პირობებიდან გამომდინარე თითქმის ამოწურული აქვთ ექსპლუატაციის რესურსი. ასევე, სხვადასხვა დროს შესრულებულმა სარემონტო თუ საექსპლუატაციო სამუშაოების უხარისხობამ გამოიწვია ის,

რომ 2014 და 2015 წლებში ეგზ „იმერეთი“ ავარიულად გამოირთო ტექნიკური გაუმართაობის გამო. ორივე შემთხვევაში ადგილი ქონდა წანაქცევ ანძებს შორის დაზიანებულ სადენებზე დადებული სარემონტო მოჭერებიდან სადენის გამოდრობას. 2014 წელს ეგზ-ს N104-N109 მალეში, დეფექტურ მონაკვეთებში ავარიების პრევენციის მიზნით შეიცვალა 20 ტონამდე დაზიანებული სადენი.

აღნიშნული შემთხვევების სისტემატიური ხასიათის, მძიმე სისტემური ავარიების, უბედური შემთხვევებისა და დიდი მატერიალური ზარალის თავიდან აცილების მიზნით, ასევე ენერგოსისტემის საიმედო და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის 2015 წელს 500 კვ ეგზ „იმერეთის“ სხვა მონაკვეთებზეც, კერძოდ: N21-N24, N45-N48, N67-N77, N173-N174, N194-N196, N323-N328, N330-N336 და N340-N341 ანძებს შორის მონაკვეთებში, რომლებშიც 1998-2006 წლებში წანაქცევი იყო შუალედური ანძები და სადენებზე დამონტაჟებული იყო დიდი რაოდენობით სარემონტო მოჭერები შეიცვალა 38 ათასი მეტრი (56 ტონამდე) AC 400/51 ტიპის სადენი და შესაბამისი სამონტაჟო არმატურა.

მსგავსი პრობლემები არსებობს 500 კვ ეგზ „იმერეთის“ სხვა უბნებზეც. ეგზ „იმერეთის“ გარკვეული მონაკვეთები გადის რთულ გეოგრაფიულ და გარემო პირობებში, რაც არაერთხელ გამხდარა საფრთხე გადამცემი ხაზის საყრდენების მდგრადობისათვის.

გარდა საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმებით გათვალისწინებული საინვესტიციო პროექტებისა სს გეს „საქრუსენერგოს“ 2022 წელს დაგეგმილი აქვს:

- საპროექტო სამუშაოების შესრულება 500 კვ ეგზ „იმერეთის“ რეაბილიტაციისათვის.
- დიფერენციალური დაცვების განხორციელება 500 კვ ეგზ „კავკასიონზე“.

როგორც ცნობილია 500 კვ ეგზ „კავკასიონი“ გადის რთულ გეოგრაფიულ და მეტეოროლოგიურ კლიმატურ არეალში. გადამცემი ხაზის ავარიული გამორთვები ძირითადად განპირობებულია ატმოსფერული დაცვებით. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ გადამცემი ხაზი არ არის აღჭურვილი თანამედროვე დაცვებისა და ავტომატიკის სისტემებით. ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო დატვირთვა 700 მეგავატია. ელექტროგადამცემი ხაზის ავარიული გამორთვა იწვევს საქართველოს ენერგოსისტემის მდგრადობისა და ელექტროენერგიის ხარისხის გაუარესებას.

500 კვ ეგზ „კავკასიონზე“ დიფერენციალური დაცვების განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს ეგზ „კავკასიონის“ აღჭურვას თანამედროვე სწრაფმოქმედი სარელეო დაცვისა და ავტომატიკის სისტემებით (პროექტირება, მოწყობილობების შეძენა, მონტაჟი, გაშვება-გაწყობა და ტესტირება, მათ შორის დაზიანების ადგილის აღმოჩენი ხელსაწყოთა შეძენა და მონტაჟი), სს გეს „საქრუსენერგო“ მოლაპარაკებებს აწარმოებს კომპანია „ჯენერალ-ელექტრიკთან“.

500 კვ ეგხ „კავკასიონზე“ სარელეო დაცვების განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით ჩატარდა შესაბამისი კვლევები. კვლევების საფუძველზე დადგინდა ასევე 500 კვ ეგხ „კავკასიონზე“ ერთფაზა ავტომატური განმეორებითი ჩართვის განხორციელების შესაძლებლობა ქვესადგურებში „ცენტრალნაიასა“ და „ჯვარში“ დამონტაჟებული ელევგაზური ამომრთველების გამოყენებით. ამჟამად კავშირგაბმულობის პროვაიდერების ჩართულობით მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები კავშირის არხის ტესტირებისათვის, რომელთა მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება საწყისი პარამეტრები და ტექნიკური დავალება დაპროექტებისათვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა ელექტროგადამცემი ხაზების შეკეთებაში ჩაყენების შესაძლებლობის შესაბამისად წარმოებს დაზიანებული იზოლატორებისა და გაცვეთილი სახაზო არმატურის შეცვლა, სადენებისა და გვარლების შეკეთება და სხვა აუცილებელი სარემონტო სამუშაოები.

ანძების კონსტრუქციის მდგრადობის შენარჩუნებისათვის აუცილებელ აღდგენით და გამაგრებით სამუშაოებთან ერთად წარმოებს ლითონის ანძების ანტიკოროზიული დაცვის სამუშაოებს. ანტიკოროზიული დაცვის სამუშაოები კომპანიის საკუთრებაში არსებულ ელექტროგადამცემ ხაზებზე მიმდინარეობს პრიორიტეტების მიხედვით, პირველ ეტაპზე 500 კვ ეგხ-ებზე: „ქართლი-1“-ზე, ქართლი-2“-ზე და „იმერეთზე“.

ელექტროგადამცემი ხაზების შეკეთებაში ყოფნის შეზღუდულ ვადებში „კომპანიის“ საქმიანობის ეფექტურობისა და ოპერატიულობის ამაღლების მიზნით ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განახლდა და შეივსო „კომპანიის“ სპეც ტექნიკის პარკი, მათ შორის მძიმე ტექნიკით, რომელთაც არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა ქვეყანაში სტიქიური მოვლენებით შექმნილი პრობლემების სალიკვიდაციო სამუშაოებშიც.

კომპანია ელექტროგადამცემი ხაზების ექსპლუატაციის პერიოდში მუდმივად უზრუნველყოფს გადამცემი ხაზის დაცვის ზონაში სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობის კონტროლს, რაშიც აქტიურად ეხმარება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

„კომპანიის“ ერთ-ერთ საკვანძო ამოცანად რჩება, ხარჯების ეკონომიურად მიზანშეწონილი პოლიტიკის მხარდაჭერა და მოგების გაზრდა. შრომის ნაყოფიერების ზრდა, თანამშრომლების ეფექტური მართვისა და ორგანიზაციის გზით. აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებითა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით. აქტივების მოცულობის ზრდა და საზოგადოების დადებითი ფინანსური შედეგის ფორმირება.

„კომპანიის“ რისკებს მიეკუთვნება:

- დარგობრივი რისკი;
- საბაზრო რისკები. დეტალური ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ მოცემულია „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაში
- ფინანსური რისკი. გამომდინარე იქედან, რომ საზოგადოება ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურებას ძირითადად ახორციელებს ქვეყნის შიგნით, უცხოური ვალუტების კურსის მერყეობით გამოწვეული რისკი უმნიშვნელოა. დეტალური ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ მოცემულია „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაში.
- სავალუტო რისკი: აღნიშნული რისკი „კომპანიის“ მხრიდან მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან ძირითადად საქმიანობა ხორციელდება ლარში.
- ფორს-მაჟორი. არ არის დამოკიდებული კომპანიაზე.

შენიშვნა*: კომპანია არ იყო ჩართული კვლევებისა-ძიებისა და განვითარების (R&D) აქტივობებში 2022 წელს.

28 აპრილი 2023

ბაჩანა გულაძე

